

gamoyenebis instrucia

ქონდროფლექსი

CHONDROFLEX

სამკურნალო საშუალების შემადგენლობა:

აქტიური ნივთიერება: ქონდროიტინის სულფატი;

1გ მალამო შეიცავს ქონდროიტინის სულფატს----- 50 მგ

დამხმარე ნივთიერებები: დიმეთილსულფოქსიდი, ლანოლინი, თეთრი რბილი პარაფინი, გასუფთავებული წყალი.

წამლის ფორმა: მალამო.

ღია-ყვითელი ფერის მალამო სპეციფიკური სუნით. მალამოს გარეგნული სახე უნდა იყოს ერთგვაროვანი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და რევმატიზმის საწინააღმდეგო საშუალება. ქონდროიტინის სულფატი. **ათქ კოდი:** M01A X25.

კომპლექსური პრეპარატის ძირითად მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ქონდროიტინის სულფატი. ეს ნივთიერება გავლენას ახდენს ხრტილოვან ქსოვილში ფოსფორ-კალციუმის ცვლაზე, ანელებს ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციას, ამუხრუჭებს ხრტილოვანი ქსოვილის დეგენერაციის პროცესს, ხელს უშლის შემაერთებელი ქსოვილის გამკვრივებას და მონაწილეობს სახსრის ზედაპირის სისველის შენარჩუნებაში. ნორმალიზდება სახსროვანი სითხის პროდუქცია, აუმჯობესებს სახსრის მოძრაობას, მონაწილეობს იღებს ძვლოვანი და ხრტილოვანი ქსოვილის ძირითადი ნივთიერების წარმოქმნაში. ქონდროიტინის სულფატი ხრტილს იცავს დაზიანებისაგან და ხელს უწყობს მისი მატრიქსის რესინთეზს. გარეგანი გამოყენებისას პრეპარატი აფერხებს ოსტეოპოროზის პროგრესირებას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას ჰიალინურ ქსოვილში, ასტიმულირებს სახსროვანი ხრტილის რეგენერაციას, ამცირებს ანთებითი პროცესის გამოვლინებას და ტკივილს დაზიანებულ სახსრებში, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ქონდროიტინის სულფატის ანთების საწინააღმდეგო აქტივობა, რომელიც ძირითადად მიმართულია ანთებითი პროცესის უჯრედულ კომპონენტზე, ახდენს ჰიალურონის მჟავას და პროტეოგლიკანების სინთეზის სტიმულირებას, თრგუნავს პროტეოლიზური ფერმენტების აქტივობას. დიმეთილსულფოქსიდი აუმჯობესებს ქონდროიტინის შეღწევას კანში. ქონდროიტინის სულფატი წარმოადგენს მაღალმოლეკულურ მუკოპოლისაქარიდს მოლეკულური მასით 20 000- 30 000. მისი მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში მიიღწევა მიღებიდან 3-4 საათის შემდეგ, ხოლო სინოვიალურ სითხეში - 4-5 საათში. ბიომეღწევადობა შეადგენს 13%. გამოიყოფა ძირითადად თირკმელებით 24 საათის განმავლობაში.

ჩვენება: სახსრებისა და ხერხემლის დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებები (ძირითადად ლოკალიზებული ფორმის): ოსტეოართროზი, მალთაშუა ოსტეოქონდროზი.

უკუჩვენება: თრომბოფლემბიტი, ინდივიდუალური ჰიპერმგრძნობელობა პრეპარატში შემავალი კომპონენტების მიმართ. ორსულობა, ლაქტაცია, ბავშვთა ასაკი;

შესაბამისი უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას: არ შეიძლება პრეპარატის დატანა კანის დაზიანებულ ზედაპირზე, რათა თავიდან ავიცილოთ მისი ღია ჭრილობაში მოხვედრა, ასევე თვალებსა და ლორწოვან გარსზე.

განსაკუთრებული სიფრთხილე:

გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში: პრეპარატის გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში უკუნაჩვენებია.

გავლენა ავტომობილისა და სხვა მექანიზმების მართვის უნარზე: გავლენას არ ახდენს.

ბავშვები: ბავშვთა ასაკში უსაფრთხოება და ეფექტურობა დადგენილი არ არის, ამიტომ მისი გამოყენება ბავშვთა ასაკში არ შეიძლება.

გამოყენების წესი და დოზირების რეჟიმი: პრეპარატი გამოიყენება გარეგანად. პრეპარატის თხელი ფენა უნდა დაიტანოთ ანთებით უბანზე და შეიზილოთ 2-3 წუთი კანში მის ბოლომდე შეწოვამდე დღეში 2-3-ჯერ. კურსის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მის ეფექტურობასა და თერაპიის ამტანობაზე და ძირითადად შეადგენს 2-3 კვირას. დოზისა და მკურნალობის ხანგრძლივობის გაზრდა რეკომენდებული არ არის.

ჭარბი დოზირება: პრეპარატის დოზის გადაჭარბება ნაკლებად შესაძლებელია. მალამოს დატანის ადგილზე სიწითლის წარმოქმნის შემთხვევაში საჭიროა პრეპარატის შეწყვეტა.

გვერდითი მოვლენები: კანის ალერგიული რეაქციები: ქავილი, ჰიპერემია, წვა, გამონაყარი.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება სხვა სახის ურთიერთქმედებები: პრეპარატის გარეგანი გამოყენებისას სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება დადგენილი არ არის.

ვარგისობის ვადა: 3 წელი; პრეპარატი არ გამოიყენოთ შეფუთვაზე მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ.

შენახვის პირობები: ინახება ორიგინალ შეფუთვაში არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე; არ გაყინოთ. ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

შეფუთვა: 30 გ ალუმინის ტუბში, გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

გაცემის რეჟიმი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებლის დასახელება და ადგილმდებარეობა მწარმოებელი

ღსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაის ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>.